ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #7

15 იანვარი 16.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ.არველაძე, ი.ჯიშკარიანი, მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე, ლ.დარახველიძე, ფ.ინჯია, ნ.ლაცაბიძე, მ.დათუკიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ვიქტორ წილოსანი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ვიქტორ წილოსანმა წარმოადგინა პროექტი ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ პროექტის მიღება განპირობებულია სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში რეორგანიზაციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით. ამასთან, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერ\თეულების დებულებათა ერთიანი სტანდარტების შემუშავების მიზნით, ზოგადი დებულებანი, სტრუქტურული ერთეულის უფროსების, სტრუქტურული ერთეულის უფროსების მოადგილეების და სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსების ფუნქციები განისაზღვრება ერთგვაროვნად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს ეყოლება ორი მოადგილე.

სამსახურში იქნება ოთხი განყოფილება ნაცვლად ხუთი განყოფილებისა. პროექტის თანახმად, სამსახურის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებით: ბიზნესის განვითარებისა და ინოვაციების ხელშეწყობის განყოფილება, ტურიზმის განვითარების განყოფილება, ანალიტიკური განყოფილება და ინვესტიციების მოზიდვის და ხელშეწყობის განყოფილება. ამასთან, უქმდება სამსახურის აპარატი.

პროექტის მიღებამ შესაძლებელია გამოიწვიოს გარკვეული ცვლილებები საფინანსო-ეკონომიკური კუთხით, მოხდება თანხების შემცირება, თუმცა აღნიშნული დამოკიდებული იქნება შესაბამისი საშტატო ნუსხის წარდგენასთან.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, მ.დათუკიშვილმა, ლ.დარახველიძემ, ქ.ჯოხაძემ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები:

მომხრე --- 9

წინააღმდეგი --- 0

თავი შეიკავა --- 1 (მ.დათუკიშვილი)

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი ცვლილების პროექტი დადებითად იქნა შეფასებული, კომისიას არ გააჩნია სამართლებრივი შენიშვნები და მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნულ პროექტის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია